27/09/2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ცნობილი ქართველი და იტალიელი ოპერის მომღერლები მიიღო

ა.წ. 26 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მეცო-სოპრანო ნინო სურგულაძეს და სხვა ქართველ და იტალიელ საოპერო მომღერლებს უმასპინძლა.

როგორც ცნობილია, ქ-ნი ნინო სურგულაძე იტალიელ კოლეგებთან ერთად, მის მიერ დაარსებული ფონდის, „ნატვრის ხის“, – ორგანიზებით 27 სექტემბერს, – ჯვართამაღლების დღეს საქველმოქმედო კონცერტს გამართავს და შემოსული თანხით უკრაინელ და ქართველ ბავშვებს დაეხმარება.

შეხვედრაზე სტუმრებმა სხვადასხვა ოპერიდან არიები შეასრულეს და გულთბილი მიღებისათვის დიდი მადლიერება გამოხატეს.

სურვა.

patriarchate.ge